ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 26 დეკემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 10

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 10

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. ვლადიმერ ქანთარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თენგიზ აბაკელია
10. მერაბ ფილიპია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის გაცნობამდე განაცხადა, რომ ბიუროს წევრებზე გადაცემულ დღის წესრიგს მე-8 საკითხად დაემატა, მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ". გამომსვლელმა ბიუროს წევრებს გააცნო კორექტირებული დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 20 დეკემბრის N06/5827 წერილის განხილვა „(ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" ხობის მუნიციპალეტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 20 დეკემბრის N03/5832 წერილის განხილვა:

- „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 22 დეკემბრის N09/5858 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 25 დეკემბრის N04/5880 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 25 დეკემბრის N04/5881 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 25 დეკემბრის N03/5882 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 25 დეკემბრის N09/5896 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 26 დეკემბრის N02/5907 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 20 დეკემბრის N06/5827 წერილის განხილვა „(ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" ხობის მუნიციპალეტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" ხობის მუნიციპალეტეტის საკრებულოს 2017 წლის 29

სექტემბრის N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N32 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებულ იქნა სამართლებრივი დასკვნა. ზემო აღნიშნული დასკვნის საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტის მერიიდან გაიგზავნა შეთანხმებისთვის წერილი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარკინიგზო გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების მოწყობასთან დაკავშირებით, რადგანაც საგზაო ნიშნების უმეტესი ნაწილი განთავსებულია საერთაშორისო და შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე (სენაკი-ფოთი-სარფი, ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის ბაქანი და ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინე). იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმება ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში დღემდე არ შემოსულა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ ხობის მუნიციპალეტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N32 დადგენილების ამ ეტაპზე ძალადაკარგულად გამოცხადება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან მიღებული შეთანხმების შემდეგ შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი წარმოდგენილი იქნება საკრებულოში განსახილველად მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მხრიდან მიღებული სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 20 დეკემბრის N03/5832 წერილის განხილვა:

- „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე გააცნო კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წესრიგდება მთელი რიგი სამართლებრივი აქტებისა, რაც გამოწვეულია იქნა საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შეტანილი ცვლილებებით, რომლითაც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო - „გამგეობა“ შეიცვალა სახელწოდებით „მერია“, ხოლო „გამგებელი“ - „მერით“. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“, რის საფუძველზე ძალადაკარგულად ცხადდება „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულება. რაც შეეხება თავად განკარგულების ახალ რედაქციას საწვავისა და სატელეფონო ხარჯების ლიმიტი უცვლელი რჩება, გარდა ფიჭური მომსახურების ლიმიტებისა, რაც მოქმედ განკარგულებაში არ იყო გათვალისწინებული, 2018 წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებზე, პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის ისევ იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება დადგენილების პროექტს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შეტანილი ცვლილებებით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანო - „გამგეობა“ შეიცვალა სახეწოდებით „მერია“, რადგანაც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი

ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის შესაბამისად ხორციელდება ბიუჯეტის ცვლილება, ხოლო წესის უმეტეს ნაწილში გვხვდება ტერმინი „გამგეობა“ და „გამგებელი“ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება და მომზადდა დადგენილების ახალი პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ, მიესალმება 2018 წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებზე და პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის ფიჭური მომსახურების ლიმიტი დაწესებას, მაგრამ მისი აზრით სასურველი იქნებოდა საკრებულოს აპარატის მოხელეებისთვისაც მოძიებულიყო თანხები და ხუთი ლარის ოდენობით განსაზღვრულიყო მათთვის სატელეფონო მომსახურების ლიმიტი. მისი აზრით ბიუჯეტის გაზრდა არ იქნება სავალდებულო, რადგანაც ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებისთვის გამოყოფილი ლიმიტის შემცირებით შესაძლებელი იქნებოდა საკრებულოს აპარატის მოხელეების 5 ლარიანი ლიმიტის განსაზღვრა.

ბიუროს ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას საკრებულოს აპარატის მოხელეებისთვის სატელეფონო მომსახურებისთვის თანხის მოძიების თაობაზე

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 22 დეკემბრის N09/5858 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად

შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მერიაში მოქალაქეთა მხრიდან არაერთი განცხადება შევიდა დევნილთა დაკრძალვის, საოპერაციო თანხების ნაწილობრივ დაფინანსებისა და „C" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსების თაობაზე, რისთვისაც 2017 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით სოციალური პროგრამის აღნიშნულ დახმარებებზე გამოყოფილი თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის სოციალურ პროგრამაში „ახალშობილთა ოჯახების დახმარების" მუხლში არსებული ეკონომია - 11400 ლარი გადანაწილებულიყო შესაბამისად: „საოპერაციო თანხების ნაწილობრივ დაფინანსების მუხლში" - 8000 ლარი, „C" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსების" მუხლში - 2000 ლარი, „დევნილთა დაკრძალვის დახმარების" მუხლში - 1400 ლარი. ხოლო „ომის ვეტერანთა დაკრძალვის" მუხლის ეკონომიიდან 200 ლარი გადატანილ იქნა „დევნილთა დაკრძალვის დახმარების" მუხლში. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით: ა) საოპერაციო და ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების" დაფინასება განისაზღვრა - 114 000 (ას თოთხმეტი ათასი) ლარით. ბ) „C" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსების" მუხლი განისაზღვრა - 29500 (ოცდაცხრა ათას ხუთასი) ლარით. გ) „დევნილთა დაკრძალვის ხარჯი" - მუხლი 3600 (სამიათას ექვსასი) ლარით. დ) ომის დაკრძალვის მუხლი 800 (რვაასი) ლარით. ე) ახალშობილთა ოჯახების დახმარების მუხლი 38600 (ოცდათვრამეტიათას ექვსასი) ლარით. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს

საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 25 დეკემბრის N04/5880 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტში აღნიშნულია, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები, რომელტა ასახვა ხორცილედება წარმოდგენი პროექტში. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 11878.7 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ და კომისიას

მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 25 დეკემბრის N04/5881 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 8256,9 ათასი ლარით აქედან: გადასახადები 5800,0 ათასი ლარი, გრანტები 2010.0 ათასი ლარი (აქედან: 1800.0 ათასი ლარი - გათანაბრებითი ტრანსფერი, 210,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად), სხვა შემოსავლები 446,9 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 7022,5 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1654,7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1440,5 ათასი ლარი, პროცენტი 86,8 ათასი ლარი, სუბსიდიები 3322,2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 466.1 ათასი ლარი და სხვა ხარჯები 52,2 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 1234,4 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 1031,1 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 1121,1 ათასი ლარი, კლება - 90.0 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 203,3 ათასი ლარით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები და წინადადებები. პროექტი მომზადებულია

კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - გამომსვლელმა განაცხადა,რომ სასურველია 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს თანხები წინასაახალწლოდ ქალაქის მოსართავად, რადგან არსებული ინვენტარი არასაკმარისია ქალაქის განათებისთვის და განახლებას საჭიროებს.

ე. ჯობავა - გამომსვლელის განცხადებით, შპს „ხობი დასუფთავება და განათების" ბიუჯეტში თანხის პრობლემა არ არის, მისი აზრით შპს-ში არის მენეჯმენტის პრობლემა და იქ სიტუაცია უნდა გამოსწორდეს. ასევე ყურადღება გაამახვილა საახალწლოდ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მოწყობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მერიის ზედამხედველობის სამსახურმა გააკონტროლოს ეს საკითხი, რათა ქალაქში მოძრაობას ხელი არ შეეშალოს.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ხშირად გამოთქვამს შენიშვნებს მერიის ზედამხედველობის თანამშრომლების მიმართ და მერიის მხრიდან ამ საკითხს ყურადღება უნდა მიექცეს.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 25 დეკემბრის N03/5882 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მხრიდან „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის №55 დადგენილებაზე მომზადებული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით სწორდება ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ტერმინი „გამგეობა“ იცვლება ტერმინით „მერია“. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 25 დეკემბრის N09/5896 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო წარმოდგენილი განკარგულების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე და „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნები განსახილველ პროექტებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა: 1) ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურმა შეიმუშავა ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის სპეციალური პროგრამები, რაც შემდგომი ეტაპისთვის დამუშავდა სამართლებრივი აქტების პროექტების სახით, 2017 წლისგან განსხვავებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის ღონისძიებებში დამატებულია შშმ პირთა ერთჯერადი დახმარება მაღალ-ტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია) დაფინანსება. 2) ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 26 დეკემბრის N02/5907 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ" ეს დოკუმენტი ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც ხობის მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა